

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №1

2020 წლის 3 იანვარი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ჯონდო მდივნიშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ჯ. კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20, წინააღმდეგი-1, ვვალდობო)

გადაწყვიტეს:

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას დაემატოს ორი ერთეული ავტომანქანა: მერსედეს ბენცი 240; ს/ნ COC 803; 1997 და ნისან XTERA; ს/ნ HLLH- 850, 2002), ხოლო ნუსხიდან პრივატიზების გამო, ამოღებული იქნას ავტომანქანები: ვაზ 21051; ს/ნ RAE 723 და უაზ 31514; ს/ნ WQW 680; 2010.

/განკარგულება №4-ი თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

/მომხს: კ. ჯამბურია/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -21, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც აჭარბებს არსებული საშტატო ნუსხის რიცხოვნობის 5% -ს, განისაზღვროს 10 ერთეული შრომითი ხელშეკრულებით.

/განკარგულება №3-ი თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -21, წინააღმდეგი-0)

გადაწყვეტეს:

შეთანხმებული იქნას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2020 წელს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა - 15 ერთეული შრომითი ხელშეკრულების ოდენობით.

/განკარგულება №2-ი თან ერთვის/

-4-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი-2- ევა ლომთაძე, გიორგი ენუქიძე)

გადაწყვეტეს:

სამსახურებრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის განისაზღვროს საწვავის ყოველთვიური ლიმიტი და გადანაწილდეს შემდეგნაირად:

/განკარგულება №1-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია